სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნანა ციკოლიას* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერილობა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**89**	**100**

მანუჩარ კაკოჩაშვილი

თარიღი: 7. 07. 2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

მანუჩარ კაკოჩაშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ნანა ციკოლიას შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულების საფუძველზე დაიწყო კონკურსი საქართველოს საერთო სასამართლოებში 17 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეთა დანიშვნის მიზნით. რომლის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ ნანა ციკოლიას შეფასება. შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე 3 და 34[1] მუხლის მე-11 პუნქტებით.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ზოგადი ინფორმაცია: კანდიდატი - დაიბადა 1983 წლის 5 აპრილს, უმაღლესი იურიდიული განათლებით, მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი (თსუ სოხუმის ფილიალი). აქვს სპეციალობით მუშაობის 10 წელი და 2 თვე გამოცდილება.

კანდიდატი შევაფასე სამოსამართლო გამოცდილების არმქონე ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლებით, საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი პიროვნული და პროფესიული თვისებების გათვალისწინებით. სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები.

1. <u>**პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება პირის როგორც მოსამართლისა და მოქალაქის - პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ

დავალიანება არ ერიცხება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით ნანა ციკოლიას 2022 წლის 25 მარტიდან 2025 წლის 25 მარტის ჩათვლით პერიოდში უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ოთხი ფაქტი, დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, კანდიდატის მიმართ ბოლო სამი წლის მანძილზე სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგენილი საჯარიმო ქვითარი არ ფიქსირდება.

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ როგორც პატიოსან, ჰუმანურ, თავმდაბალ,. შრომისმოყვარე, პატიოსან, გულწრფელ, თავმდაბალ, პრინციპულ, კეთილსინდისიერ, დამოუკიდებელი აზროვნების მქონე, მიზანდასახულ, გულწრფელ, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, ეთიკურ და პუნქტუალურ პიროვნებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

2. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:</u>**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა.

მოპოვებული მონაცემებით დგინდება, რომ ნანა ციკოლია 2009-2012 წწ. იყო პოლიტიკური პარტია „საქართველოს დემოკრატიული პარტიის" პოლიტიკური საბჭოს წევრი. კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაცია არ იძებნება.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით ნანა ციკოლია პიროვნულად მტკიცე, სამართლიანი, ობიექტური და მედეგი პიროვნებაა. იგი თავისი პრინციპებისადმი ერთგული ადამიანია, საქმიანობაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია, სრულად აქვს გაცნობიერებული მოსამართლის როლი და მაღალი დანიშნულება. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა:</u>**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლის

შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში ნანა ციკოლიას მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების სამეგო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით -კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

რესპოდენტების შეფასებით, კანდიდატი კოლეგებთან ურთიერთობისას გამოირჩევა კორექტულობით, ეფექტურად მართავს საკუთარ ემოციებს იგი გაწონასწორებული პიროვნებაა. მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ნანა ციკოლიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლო დავაში მხარედ.

იუსტიციის სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ინფორმაციით ნანა ციკოლიას მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

4. <u>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:**</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

ნანა ციკოლიას რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ ძალიან კეთილშობილ ადამიანად, რაც იგრძნობა მასთან პირველივე შეხვედრისთანავე, ამავე დროს მაღალი დონის პროფესიონალია და ზოგადად იურიდიულ წრეებში სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით. მისი პროფესიული საქმიანობისა და საქმისადმი გულმოდგინე დამოკიდებულების გათვალისწინებით, კანდიდატი სარგებლობს მაღალი პიროვნული და საქმიანი რეპუტაციით და იმსახურებს დიდ პატივისცემას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ კანდიდატი **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:**</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატი

ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 25 ქულა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 25 ქულა;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები - 20 ქულა;
დ) პროფესიული თვისებები - 15 ქულა;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 10 ქულა;
ვ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

1. <u>**სამართლის ნორმების ცოდნა:**</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება და კარგად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა.

საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები. კანდიდატი კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. ასევე საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებს. კანდიდატმა ისაუბრა და გასცა პასუხები სისხლისსამართლებრივ საკითხებზე დასმულ შეკითხვებს.

საჯარო მოსმენისას კანდიდატმა ამომწურავად ისაუბრა როგორც საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალურ ისე პროცესუალურ ნორმებზე. ისაუბრა რეფერენდუმსა და პლებისციტის შესახებ; დაუხმარებლობასა და განსაცდელში მიტოვების შესახებ; ასევე ისაუბრა აბსოლუტურ უფლებებზე; სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებზე. მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებზე და სხვა მრავალ სამართლებრივ საინტერესო თემაზე. მისი მსჯელობა იყო ამომწურავი და ფართო.

აღსანიშნავია, რომ ნანა ციკოლიას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით 2023 წლის 24 სექტემბერს. მიღებული ქულა - 77/16).

- ✓ კანდიდატს 2006 წლის 21 მაისს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა ტესტირება სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

- ✓ მას 2008 წლის 20 მარტს მიღებული აქვს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერთიფიკატი.

ვინაიდან კანდიდატი მოსამართლეობის გამოცდილების არმქონეა, მსჯედველობაში მიიღება იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასება, რომელიც დადებითია. რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში არის 4.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ნანა ციკოლიამ წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში 94 ქულა. სამოქალაქო სამართლის მიმართულებით, ნანა ციკოლია, ყოველთვის სიღრმისეულად თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების განზოგადების ჭრილში სწავლობდა და იკვლევდა როგორც პროცესუალურ ასევე მატერიალურ-სამართლებრივ საკითხებს. მიუხედავად იმისა რომ მისი საგამოცდო მიმართულება სისხლის სამართალში იყო სამოქალაქო დავათა განხილვის პროცესშიც მსმენელმა წარმოაჩინა სწორი სამართლებრივი არგუმენტების მოძიების, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირებისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის უნარ-ჩვევები. ადმინისტრაციული სამართალში ნანა ციკოლიას აქვს კარგი თეორიული ცოდნა, რასაც სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულია. ამასთან, სამომავლოდ, მან უნდა განავითაროს აკადემიური წერის კულტურა. სისხლის სამართლის მიმართულებით, ნანა ციკოლია, მიღებულ თეორიულ ცოდნას სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზისა და დასვეწილი სამართლებრივი მსჯელობის კარგი უნარები. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

2. <u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი სკოლის შეფასებებს: კანდიდატს უმაღლეს დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. სისხლის სამართალში - ნანა ციკოლიას გააჩნია სამართლებრივი დასაბუთების კარგი უნარი და კომპეტენციის მაღალი დონე, რასაც პრაქტიკაში სათანადოდ იყენებს. გადაწყვეტილებებში არის სწრაფი და დამაჯერებელი. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სწორად, აზრობრივად და ქრონოლოგიურად დალაგებულია.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა არსებითად სწორად იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე.

3. **<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები:</u>**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამარჯული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

გამოკითხული პირები უთითებენ, რომ კანდიდატის წერის სტილი აკადემიურია, ნათელი, გასაგები და არგუმენტირებული, აქვს კარგი კომუნიკაციის უნარი, სხვების მიმართ კორექტულია, თანამოსაუბრეების ეპყრობა ღირსებით, პატივისცემითა და თავაზიანობით. აქვს სხვისი აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. მოსაუბრის მიმართ გამოხატავს პატივისცემას, მეტყველებს გამართულად, სწორად გადმოსცემს სათქმელს, არ იყენებს შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ გამონათქვამებს და სიტყვებს.

გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, ფლობს კომუნიკაციის სათანადო უნარებს. კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციის, გამართულად მეტყველების, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად და მკაფიოდ.

4. **<u>პროფესიული თვისებები:</u>**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად პროფესიული თვისებების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

რეკომენდატორები კანდიდატს ახასიათებენ მიზანდასახულ, შრომისმოყვარე და პუნქტუალურ პიროვნებად, რომელსაც აქვს სტრესულ და დატვირთულ სამუშაო ვითარებაში პროდუქტიული მუშაობის უნარი. გააჩნია მართვისა და საქმის სათანადოდ დაგეგმვის უნარი, სწორად შეუძლია განსაზღვროს პრიორიტეტები, მუდმივად ზრუნავს თვითგანვითარებაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო, რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით და მოწესრიგებულობით.

5. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:</u>**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა,

თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

ნანა ციკოლიას მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ შორისაა

- ✓ 2010 - 2011 წ. ლიდერ ქალთა პროგრამა - ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI);
- ✓ 2009 – 2010 წ. პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის პროგრამა - ბრიტანეთის საელჩო თბილისში და საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდი (GFSIS).
- ✓ 2008 წ. 7 მაისი - ტრენინგი საარჩევნო კანონმდებლობის საკითხებზე - ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივის პროექტი.

6. <u>პროფესიული აქტივობა:</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ვერიკო ბოკუჩავა აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ დისკუსიებსა და შეხვედრებში, სადაც საკუთარ პოზიციას გამოხატავს ღიად. კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას და არც გამოქვეყნებული აქვს სტატია და ნაშრომი მაგრამ ცდილობს აქტიურად მიიღოს მონაწილეობა პროფესიული წვრთნის პროგრამებში.

კანდიდატი 2008 წლის ნოემბერში იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი.

<u>**კანდიდატის საბოლოო შეფასება:**</u>

კანდიდატს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ **89** ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი მანუჩარ კაკოჩაშვილი

თარიღი: 7.07.2025